



საზოგადოებასთან ურთიერთობის
სტრატეგია

თარიღი	იანვარი 2021
თავი	0
გვერდი	1/13
ცვლილება	0

“დამტკიცებულია”

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის

რექტორი, პროფესორი

კ. ბ. ბერიძე




ს. ტყეშელაშვილი

2021

დადგენილება № 05/19/1


საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია

ძირითადი ასლი

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/13
		ცვლილება	0

1 სარჩევი

1	სარჩევი	2
i.	ცვლილებები	3
ii.	ცვლილებების ისტორია	4
iii.	მოქმედი გვერდების სია	5
2	დოკუმენტაციის კონტროლი	6
3	შესავალი	7
4	სტრატეგიის მიზნები.....	8
4.1	ვებ-გვერდის სისრულეში მოყვანა	8
4.2	სოციალური ქსელის მონიტორინგი და მართვა.....	8
4.3	უნივერსიტეტის საქმიანობის ამსახველი ფოტო-ვიდეო გადაღება	9
4.4	უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის გაშუქება.....	9
4.5	საჯარო ლექციების ორგანიზება	10
4.6	საინფორმაციო სახის ვიზიტების განხორციელება სკოლებში	10
4.7	აქტიური მონაწილეობა ყოველწლიურ გამოფენებში, კონფერენციებში.....	10
4.8	ღია კარის დღეების ორგანიზება	11
4.9	Welcome Party, Graduation Party.....	11
5	მონიტორინგი და ანგარიშგება	13


	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/13
		ცვლილება	0

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი


	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/13
		ცვლილება	0

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

დოკუმენტების დასაგზავნი სია


ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	3
	შესავალი	გვერდი	7/13
		ცვლილება	0

3 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საკომუნიკაციო (PR) სტრატეგიას, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად და უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, მიზნად ისახავს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტიანობის მაქსიმალიზაციას, რაც თავის მხრივ აამაღლებს უნივერსიტეტის ცნობადობის დონეს, როგორც რეგიონის, ასევე საერთაშორისო დონეზე. სტრატეგიის შექმნასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ევალება საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს. სტრატეგიის მიზნობრივი ჯგუფებია:

- უნივერსიტეტის სტუდენტები;
- აკადემიური პერსონალი;
- აბიტურიენტები და მათი მშობლები;
- მაღალი კლასების მოსწავლეები;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები;
- დამსაქმებლები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები;

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	4
	სტრატეგიის მიზნები	გვერდი	8/13
		ცვლილება	0

4 სტრატეგიის მიზნები

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით დასახული აქვს შემდეგი ამოცანები

4.1 ვებ-გვერდის სისრულეში მოყვანა


1. ვებ-გვერდი, უნივერსიტეტის მიღწევების, სამომავლო გეგმებისა და აუცილებელი ინფორმაციის მიზნობრივი ჯგუფებისათვის მიწოდების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. შესაბამისად, არსებული ვებ-გვერდი ჩანაცვლდა ახალი, უფრო თანამედროვე და ინტუიციური ინტერფეისის მქონე ვებ-გვერდით, რომელიც ერთ სივრცეში აერთიანებს უნივერსიტეტის, საერთაშორისო საავიაციო ტრენინგ ცენტრისა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პლატფორმას. აღნიშნული ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს მარტივად მოიძიონ საჭირო ინფორმაცია. ვებ-გვერდზე ძირითადი ინფორმაცია და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან საიტი სისტემატურად განახლებადება იმ სიახლეების შესაბამისად, რომლებიც ასახავს საუნივერსიტეტო საქმიანობის შედეგებს.

სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
ვებ - გვერდის სისრულეში მოყვანა, ქართული და ინგლისური კონტენტის შესაბამისობა, ფოტო/ვიდეო მასალის, დოკუმენტების, სიახლეების დროულად ატვირთვა და მუდმივად განახლება/თარგმნა/რედაქტირება.	<ul style="list-style-type: none"> ახალი ვებ-გვერდი; ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი ძირითადი ინფორმაცია და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. 	ვებ-გვერდის განახლება 2021-2027წწ.

4.2 სოციალური ქსელის მონიტორინგი და მართვა

1. დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის ციფრული სახით მიწოდება ვებ-გვერდთან ერთად ხორციელდება უნივერსიტეტის Facebook გვერდის საშუალებით. გვერდი იძლევა არა მხოლოდ ტექსტური და ფოტო-ვიდეო სახით სიახლეების გაზიარებას, არამედ წარმოადგენს უნივერსიტეტსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის ეფექტურ საკომუნიკაციო საშუალებას, რაც განპირობებულია აღნიშნული პლატფორმის პოპულარობით და მოხმარების სიმარტივით;

2. Facebook-ის ვიდეო ჩართვის ფუნქცია საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს განახორციელოს სხვადასხვა ხასიათის საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან, რაც საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტია საუნივერსიტეტო სივრცეებში შეზღუდული დაშვების შემთხვევაში, უზრუნველყოფს უნივერსიტეტსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის კითხვა-პასუხის რეჟიმის წარმართვას, რაც ხელს უწყობს ინფორმირებულობის დონის ამაღლებას.

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	4
	სტრატეგიის მიზნები	გვერდი	9/13
		ცვლილება	0

სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
სოციალური ქსელის მუდმივი მონიტორინგი და მართვა, შეტყობინებებზე/კომენტარებზე დროული რეაგირება, მომხმარებლების მუდმივად ინფორმირება	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციაზე რეაგირებისა და მისი გაზიარების მაჩვენებელი; • Facebook გვერდის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა. 	2021-2027წწ.

4.3 უნივერსიტეტის საქმიანობის ამსახველი ფოტო-ვიდეო გადაღება


1. საავიაციო დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ხასიათის საქმიანობას, რომლის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა საკმაოდ საინტერესოა დაინტერესებული მხარეებისათვის. ზრდის უნივერსიტეტის ციფრული პლატფორმების რიცხვს და შესაბამისად უნივერსიტეტის ცნობადობასაც. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია, დაინტერესებული მხარეებისათვის მისაწოდებელი სიახლეების გამდიდრება შესაბამისი ფოტო ან/და ვიდეო მასალით. რისთვისაც უნივერსიტეტი გამოიყენებს ან შიდა რესურსს, ან/და საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვევს გადამღებ ჯგუფს.

სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
ფოტო-ვიდეო გადაღებების წარმოება უნივერსიტეტში და მის გარეთ, რომლებიც ასახავს უნივერსიტეტის საქმიანობას.	• ფოტო და ვიდეო მასალის რაოდენობა.	2021-2027წწ.

4.4 უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის გაშუქება

1. სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ახორციელებს ფუნდამენტურ კვლევებს, რომლებიც მიზნად ისახავს სამოქალაქო ავიაციის სფეროში ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღებას ან უკვე არსებული ცოდნის გამოყენებით, რომელიმე პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად, ინოვაციური მიდგომის, მეთოდის, ტექნოლოგიისა და სხვა დამხმარე საშუალებების შემუშავებას. რაც ერთის მხრივ აისახება საგანმანათლებლო პროგრამებში, ხოლო მეორეს მხრივს ხელს უწყობს უნივერსიტეტის ცნობადობისა და სტატუსის ზრდას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საქმიანობისა და მიღწევების დაინტერესებული მხარეებისათვის სათანადო სახით მიწოდება.

სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის გაშუქება/მხარდაჭერა	• უნივერსიტეტის ციფრულ პლატფორმებზე და გარე გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა;	2021-2027 წწ

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	4
	სტრატეგიის მიზნები	გვერდი	10/13
		ცვლილება	0

4.5 საჯარო ლექციების ორგანიზება

1. სტუდენტების ცოდნის გაღრმავებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად აუცილებელია სხვადასხვა დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება ღია ლექციების საშუალებით. სტუდენტების ინტერესების გასათვალისწინებლად თვითმმართველობასთან კომუნიკაციის საფუძველზე, სისტემატურად ხორციელდება საავიაციო და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებთან კავშირში მყოფი სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების მოწვევა სტუდენტთათვის საკუთარი გამოცდილებისა და დარგში არსებული სიახლეების/სირთულეების/სამომავლო პერსპექტივების გასაზიარებლად. საჯარო ლექციის პრინციპიდან გამომდინარე მასზე დასწრება შეეძლება უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს.

სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
სტუდენტებისთვის საინტერესო და თემატური საჯარო ლექციების ორგანიზება	<ul style="list-style-type: none"> ჩატარებული საჯარო ლექციების, რაოდენობა 	2021-2027 წწ


4.6 საინფორმაციო სახის ვიზიტების განხორციელება სკოლებში

1. უნივერსიტეტისათვის მნიშვნელოვანია თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მდებარე სკოლებში ვიზიტების განხორციელება დამასრულებელი კლასების მოსწავლეებთან შეხვედრის მიზნით, რაც უზრუნველყოფს მომავალი აბიტურიენტების საავიაციო უნივერსიტეტით დაინტერესებას, რაც ასევე დადებითად აისახება უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ყოველწლიურად ხორციელდება, შესაბამისად მომზადებული სტუდენტებისაგან შემდგარი ჯგუფების მობილიზება და წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სკოლებში გაგზავნა საინფორმაციო ვიზიტების ჩასატარებლად. ამასთან ვიზიტების განხორციელებისათვის აუცილებელ ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხოლო საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ახორციელებს ვიზიტების გეგმის შემუშავებას, ჯგუფების ფორმირებას, მათ ლოგისტიკურ უზრუნველყოფას და ვიზიტების განხორციელების კონტროლს.

სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
თბილისში და რეგიონებში მდებარე დიდ სკოლებში პრეზენტაციების ჩატარება 11-12-ე კლასელებთან, უნივერსიტეტის ღირსეულად წარმოჩენა.	<ul style="list-style-type: none"> განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა; მიღებული სტუდენტების რაოდენობა; 	2021-2027წწ.

4.7 აქტიური მონაწილეობა ყოველწლიურ გამოფენებში, კონფერენციებში

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ყოველწლიურად იმართება რიგი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება საქართველოს უმაღლესი განათლების ცნობადობის ზრდას, რაც საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს აძლევს თავის

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	4
	სტრატეგიის მიზნები	გვერდი	11/13
		ცვლილება	0

წარმოჩენისა და დაინტერესებულ მხარეთათვის საინტერესო ინფორმაციის განსხვავებულ ფორმატში მიწოდების საშუალებას. აუცილებლად მიგვაჩნია უნივერსიტეტის მონაწილეობა ყოველწლიურად გამართულ საგანმანათლებლო გამოფენებში, რადგანაც სხვა უნივერსიტეტებთან გაზიარებულ სივრცეში სწორად განხორციელებულ კამპანიას შეაქვს დიდი წვლილი აბიტურიენტთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გადაწყვეტილების ფორმირებაში.

სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
განათლების სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება	<ul style="list-style-type: none"> ღონისძიებებში მიღებული მონაწილეობის რაოდენობა; მიღებული შედეგების ანალიზის ანგარიში. 	2021-2027წწ.

4.8 ღია კარის დღეების ორგანიზება

1. დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების/აბიტურიენტების გადაწყვეტილების ფორმირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს „ღია კარის დღეებს“. ღონისძიება საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მხარეებს მაქსიმალურად გაეცნონ საუნივერსიტეტო ცხოვრებას, დაათვალიერონ სასწავლო რესურსები და მოუსმინონ საინფორმაციო-გაცნობითი სახის ლექციას სამოქალაქო ავიაციის დარგის შესახებ. ზემოთხსენებული ხელს უწყობს დარგით დაინტერესებას და უმაღლესი სასწავლო დაწესებულების არჩევანის სტიმულირებას.


სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
ღია კარის დღეების ორგანიზება	<ul style="list-style-type: none"> ღია კარის დღეებზე დასწრების მაჩვენებელი; მიღებული სტუდენტების რაოდენობა; 	2021-2027 წწ

4.9 Welcome Party, Graduation Party


1. პირველკურსელთა საუნივერსიტეტო სივრცეში მარტივი ინტეგრაციისა და ერთმანეთის უკეთ გაცნობის მიზნით, უნივერსიტეტი ორგანიზებას უწევს მისაღებ წვეულებას, რაც ზრდის სტუდენტთა კმაყოფილების დონეს და საფუძველს უდებს მათ შორის მეგობრულ დამოკიდებულებას;

2. კურსდამთავრებულთა დიპლომების დაჯილდოვებისა და ღირსეული გაცილების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტი ყოველწლიურად მართავს ღონისძიებას, სადაც რექტორი და ფაკულტეტის დეკანები პირადად ულოცავენ კურსდამთავრებულებს სწავლის დამთავრებას და გადასცემენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომებს. ღონისძიება იმართება უნივერსიტეტის კუთვნილ აეროპორტ „მიმინოს“ ტერიტორიაზე; ტრანსპორტირებისა და კატერინგის აუცილებელ ფინასურ რესურსს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

3. უნივერსიტეტი ახორციელებს ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ფოტო-ვიდეო გადაღებას და შემდგომში სიახლის სახით ათავსებს ციფრულ პლატფორმებზე.

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	4
	სტრატეგიის მიზნები	გვერდი	12/13
		ცვლილება	0

სტრატეგიული ამოცანა	წარმატების ინდიკატორი	შესრულების ვადა
პირველკურსელთა და კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი (მისაღები/დასამშვიდობებელი) ღონისძიებების ორგანიზება	<ul style="list-style-type: none"> განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა 	2021 - 2027 წწ

	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია	თარიღი	იანვარი 2021
		თავი	5
	მონიტორინგი და ანგარიშგება	გვერდი	13/13
		ცვლილება	0

5 მონიტორინგი და ანგარიშგება

თითოეული შესრულებული ამოცანის წარმატებულობის დონის განსაზღვრისათვის აუცილებელია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მიღებული შედეგების საფუძველზე ანგარისში მომზადება, რომელშიც ასახული იქნება განხორციელებული საქმიანობა, გამოყენებული რესურსები და მიღებული შედეგები. ანგარიშს მმართველის საბჭოს შეხვედრაზე წარადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ხოლო მმართველი საბჭო, მიღებული შედეგების საფუძველზე შეაფასებს სტრატეგიის ეფექტურობას და საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტს წინამდებარე სტრატეგიაში კონკრეტული ცვლილებების შეტანის აუცილებლობას.